საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N01-08/41

ქ. ბათუმი 31 აგვისტო, 2015 წ.

2015-2016 სასწავლო წელს ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–13 მუხლის, ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 20 აპრილის №02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის -შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის'' მე–4 მუხლის მე–2 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2015-2016 სასწავლო წელს ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების მიერ სწავლის წლიური საფასურის გადახდა (ადმინისტრაციული რეგისტრაცია) განხორციელდეს 6 (ექვს) ეტაპად, შემდეგნაირად:
   1.1. 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში:
   ა) I ეტაპი – ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთათვის – 10 ოქტომბრის ჩათვლით, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის – 19 ოქტომბრის ჩათვლით **(შევიდა ცვლილება ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 30 სექტემბრის № 01-08/48 ბრძანებით);**
   ბ) II ეტაპი – 09 ნოემბრის ჩათვლით;
   გ) III ეტაპი – 2016 წლის 05 თებერვლის ჩათვლით **(შევიდა ცვლილება ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 04 მარტის № 01-08/11 ბრძანებით);**
   1.2. 2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში:

   ა) IV ეტაპი– 2016 წლის 25 მარტის ჩათვლით **(შევიდა ცვლილება ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 04 მარტის № 01-08/11 ბრძანებით);**

   ბ) V და VI ეტაპი – 2016 წლის 13 ივნისის ჩათვლით **(შევიდა ცვლილება ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 09 ივნისის № 01-08/20 ბრძანებით);**
2. ბრძანება აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30);
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,

ასოც.პროფესორი **მერაბ ხალვაში**